ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3199625

ნომერი: AR1483394

თარიღი : 07.04.2017

გაცემის თარიღი : 11.04.2017

გაცნობის თარიღი : 11.04.2017

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი გურამიშვილი , ელმავალმშენებელი ქარხნის წინ არსებული ავტოგასამართი სადგურის მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- არსენ კუტალაძე პ/ნ 46001000030
- ჩოხატაურის რაიონი, სოფ კოხნარი

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

დამატებითი ინფორმაციის წარმოსადგენად ვადის განსაზღვრის შესახებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017 წლის 05 სექტემბრის AR1483394 განცხადებით მომართა არსენ კუტალაძემ და მოითხოვა 2016 წლის 05 სექტემბრის №2797504 ბრძანებაში ცვლილების განხორციელება.

სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 05 სექტემბრის №2797504 ბრძანებით ქალაქი თბილისში, გურამიშვილის გამზირზე, ელმავალმშენებელი ქარხნის წინ არსებული ავტოგასამართი სადგურის მიმდებარედ(საკადასტრო კოდი: N01.12.01.004.045) არსებულ მიწის ნაკვეთზე (ფართობი 1904 მ2) კაფე, ბარის აშენების მიზნით, არსებული ფუნქციური ზონების საზოგადოებრივ–საქმიანი ზონა 2

(სსზ–2), ზოგადი საცხოვრებელი ზონა (სზ) და სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ–1) პირობებით დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები. საპორეტქო ობიექტის განთავსება ხდებოდა ზოგადი საცხოვრებელი ზონის არეალში, რომელშიც ნაკვეთის განვითარება შესაძებელია საცხოვრებელი ზონა 3 (სზ–3)–ის პარამეტრებით, ვინაიდან საცხოვრებელ ზონა 3 (სზ–3)–ში ობიექტის ფუნქცია კაფე, ბარი საჭიროებს სპეციალურ ზონალურ შეთანხმებას საკითხი განხილულ იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენების და განაშენიანების რეგულიების საკითხთა საბჭოს სხდომაზე, რომლის რეკომენდაციების შესაბამისად საკითხი გადაწყდა დადებითად და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2016 წლის 31 აგვისტოს N1-1623 ბრძანების საფუძველზე გაიცა სპეციალური (ზონალური) შეთანხმება ქ. თბილისში, ნაძალადევის რაიონში, გურამიშვილის გამზირზე, ელმავალმშენებელი ქარხნის წინ არსებული ავტოგასამართი სადგურის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი:#01.12.01.004.045) კაფე-ბარის განთავსების მიზნით.

განმცხადებლის, არსენ კუტალაძის განმარტებით ტერიტორიაზე აღარ იგეგმება ახალი მშენებლობა და უნდა განხორციელდეს არსებული შენობის რეკონსტრუქცია, შესაბამისად ითხოვს ცვლილების განხორციელებას და მშენებლობის სახეობად: რეკონსტრუქციის დაფიქსირებას.

საჯარო რეესტრის ამონაწერის (განცხადების რეგისტრაციის N882017178077; თარიღი:15/03/2017) თანახმად, N01.12.01.004.045 საკადასტრო ერთეულით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს წარმოადგენს შპს „A.M.D“, რომლის დირექტორია მერაბ კუტალაძე(ამონაწერი მეწარმეთადა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირებისრეესტრიდან:განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B1609571, 01/07/2016).

იმისათვის, რომ სამსახურმა იმსჯელოს აღნიშნული ცვლილების განხორციელების თაობაზე საჭიროა წარმოდგენილ იქნას საპროექტო მიწის ნაკვეთის, შესაბამისი ფორმით დამოწმებული მესაკუთრის თანხმობა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83–ე მუხლის თანახმად, თუ განმცხადებელი ადმინისტრაციულ ორგანოს არ წარუდგენს კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით გათვალისწინებულ რაიმე დოკუმენტს ან სხვა ინფორმაციას, რაც აუცილებელია საქმის გადაწყვეტისათვის, ადმინისტრაციული ორგანო განმცხადებელს განუსაზღვრავს ვადას, რომლის განმავლობაშიც მან უნდა წარადგინოს დამატებითი დოკუმენტი ან ინფორმაცია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დაავალოს განმცხადებელს, რომ 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში წარმოადგინოს: N01.12.01.004.045 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრის თანხმობა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83–ე მუხლის თანახმად,

საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვისგაცემის წესისა და სანებართვო პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის#14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა დაგანაშენიანების რეგულირების წესების“ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის“თანახმად.

ვბრძანებ

1. დაევალოს განმცხადებელს 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში წარმოადგინოს: N01.12.01.004.045 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრის თანხმობა (შესაბამისი ფორმით დამოწმებული).
2. ბრძანების პირველი პუნქტის შეუსრულებლობის შემთხვევაში 2017 წლის 05 სექტემბრის AR1483394 განცხადება დარჩება განუხილველი;
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა #7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

• დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ

არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.